პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# წითელი არმიელი

1923
სექტემბერი
7
პარასკევი

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 360 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 360

## ვინ უნდა იწერდეს გაზეთ „წითელ-არმიელს“

ყველა იმის შემდეგ, როდესაც მრავალჯერ იყო დაწერილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თუ ვინ უნდა იწერდეს გაზეთ „წითელ-არმიელს“ და რა მნიშვნელობა აქვს მას თვი ულ მხედრისთვის, ქალაქის მუ და გლეხებისათვის, შეიძლება რმა იფიქროს, რომ კიდევ ამ თხზე რაიმეს დაწერა ზედმეტი ება-ო. მაგრამ ამ წერილით მე ევ ერთხელ მსურს მოვაგონო ანადო ორგანოებს, მუშების და ხების ფართე მასსებს, რომ არ- ობს გაზეთ „წითელ-არმიელი“, მელიც ღირსია ყურადღებისა და მელმაც ფართო გამოძახილი უნ- ჰპოვოს მშრომელთა შორის.

უხედავად იმისა, რომ ამ საკით- მართლაც ბევრი დაწერილა, უხედავად იმისა, რომ რედაქცია უწოდებდა პარტიულ ორგანიზა- ციებს, ქალაქის მუშებ და გლეხ- ას, მან ვერ ჰპოვა სათანადო გამოძახილი. რაშია საქმე! ნუთუ მათ არ აქვს შეგნებული გაზეთის მნიშვნელობა?

ნუ თუ მუშებს და გლეხობას არ აინტერესებს იცოდეს თუ რა ხდება წითელ-არმიაში? ნუ თუ წითელ-არმია და მისი ორგანო „წითელ-არმიელი“ ამაზედ მეტი ყურადღების ღირსი არ არის?

დღეს ჩვენი ხელისუფლების ყოველივე ძალ-ღონე მიმართულია მუშებისა და გლეხობის დაახლოვებისათვის და ბოლოს ამ ორი ელემენტის წითელ-არმიასთან დაახლოვებისათვის ეს წარმოადგენს დამკვრელ ამოცანას; აქეთკენ არის მიპყრობი- უმთავრესი ყურადღება საბჭოთა ხელისუფლებისა, განსაკუთრებით წითელი არმიის პოლიტ-სამართველოსი, და კიდეც იქნა სათანადო ნაბიჯები გადადგმული აქეთკენ, მით უმეტეს მას შემდეგ როდესაც წითელი არმიის ნაწილები გაიშალნენ საბანაკოდ.

იბადება კითხვა შეუძლია თუ არა ამ სფეროში რაიმე სარგებლობის მოტანა ჩვენს ორგანოს?

ჩემის აზრით მას ამ მხრივ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მით უმეტეს დღეს, როდესაც სამხედრო ნაწილები სტოვებენ საზაფხულო ბანაკს და უბრუნდებიან საზამთროს. გაზ „წითელი-არმიელ“-ს შეუძლია გადიქცეს იმ ხიდათ, რომელიც დააკავშირებს წითელ-არმიასთან გლეხობას. მართალია შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში ჩვენ არ ვიქნებით გაბნეული სოფლად, მაგრამ თუ გლეხს ჩვენი გაზეთი ექნება ხელში ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენ სულიერად მათთან ვართ. ვისგან შესდგება წითელი არმია?

მუშებისა და გლეხებისაგან. რას წარმოადგენს გაზეთ „წითელი-არმიელი“?

ეს არის სარკე წითელი ლაშქრისა სადაც ნათლად მოჩანს ყველა ნაბიჯები ჩვენი არწივებისა, ეს არის სულიერი საზრდო, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი მხედრობისათვის.

მაშ რაშია საქმე? ნუ თუ არ აინტერესებს მუშებს და გლეხებს წითელ-არმიელების მდგომარეობა, რომელნიც მათი პირმშო შვილები არიან? უნდა ითქვას, რომ მათ აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა; ჩვენი ყოფა ცხოვრება და თუ ისინი ჩვენ გაზეთს არ იწერავენ ამაში დამნაშავე არა თვით გლეხობა, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ ჩვენს გაზეთზე, არამედ მათი ხელმძღვანელი ორგანოები. მე საუბარი მქონდა ერთ ერთ გურიის თემის გლეხობასთან და მათ უსაზღვრო სურვილი გამოსთქვეს ჩვენი გაზეთის გამოწერაზე.

ვინ უნდა იწერდეს ჩვენ გაზეთს? რასაკვირველია მუშები, გლეხები და საბჭოთა—პარტიული დაწესებულებები.

ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს, ვინ უნდა აიღოს ინციატივა ამ გაზეთის გამოწერის და გავრცელების ამა თუ იმ ქარხნების მუშებში და სხვა და სხვა სოფლის გლეხობაში?

აუცილებლად ეს ხელმძღვანელობა უნდა იკისროს მათ ხელმძღვანელ ორგანოებმა.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ჩვენი ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა საჭიროა დროზე მოაგონოს პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ არსებობს წითელ-ლაშქართან ერთად მისი ორგანო გაზეთი „წითელი-არმიელი.“

მე განმეორებით ვამბობ, რომ ჩვენი გლეხობა და მუშები სიამოვნებით გადაიკითხავენ ჩვენს გაზეთს თუ რომ მას გაუწევენ ხელმძღვანელობას და შეაძლებინებენ მის გამოწერას.

წ. რ. ერმა.

## „ჩინეთის კედლები“ ირღვევა.

„ჩინეთის კედლები“ — კარჩაკეტილობის, უვიცობის და უკულტურობის სინონიმია, ასე იყო წინათ, რამდენიმეთ სხვა დღესაც, მაგრამ ასე იქნება მომავალში; „ჩინეთის კედლები ირღვევა. ჩინეთის 400 მილიონიანი ხალხი იღვიძებს; მას სურს ეზიაროს კულტურის და ცოდნის წყაროთი, მას სურს გადალახოს დამაბრკოლებელი ზღუდეები, განთავისუფლდეს უცხოელ იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან და განავითაროს ეროვნული კულტურა და ვაჭრობა-მრეწველობა.

ჩინეთიდან ისმის გამოფხიზლების ხმები.

ჩინეთი უკვე 12 წელიწადია რესპუბლიკანური ქვეყანაა. ბოგდიხანის გადმოგდების შემდეგ გამოცხადდა რესპუბლიკა. შეიცვალა ამით მდგომარეობა, გაუმჯობესდა ჩინეთის მრავალ რიცხოვან ხალხის მდგომარეობა?

სრულებითაც არ.

ბოგდიხანი რევოლიუციამ გასრისა, მაგრამ გენერლები და მრავალი მტრები ხალხის დარჩენ. ამათ კიდევ მიემატა რამოდენიმე ჯგუფები პარლამენტის წევრებისა.

ჩინეთის დღევანდელი ბატონ-პატრონია სამხედრო კასტა-ბეი-იანის, რომელიც მუშაობს უცხოელ იმპერიალისტებთან შეთანხმებით. გენერალმა ცაომ, რომელიც ეყრდნობა ამერიკელ იმპერიალისტებს, განდევნა პრეზიდენტი ლი-უან-ჩუსი. ცხადია უცხოელ იმპერიალისტებს აინტერესებდათ არა ცაოს გამარჯვება და კაბინეტის შეცვლა, არამედ გამოწვეულ არეულობით სარგებლობა და ჩინეთის შინაურ საქმეში ჩარევა. ამის საბაბი მათ უკვე იშოვეს. ჩინელ ყაჩაღების თავდასხმამ უცხოელ მოგზაურებზე—მათ ხელები გაუხსნეს მოქმედებისათვის და განაცხადეს: ჩინეთში ანარქია მძვინვარებს, საკუთარ ძალებით ჩინეთის მთავრობას არ შეუძლია გაუსწორდეს ანარქიას, ამისათვის ჩვენ უნდა ჩავერიოთ ჩინეთის საქმეებში და წესრიგი დავამყაროთ.

ჩვენ ვიცით რას ნიშნავს იმპერიალისტების „წესრიგის დამყარება.“ მათ პირველ ყოვლისა აინტერესებს ჩინეთის ბაზარი, მისი სიმდიდრენი.

ჩინეთის დატაცება უკვე დაიწყო. იმპერიალისტების კრეისერ—მინონოსცები გაეშურენ ჩინეთისაკენ. მისი რკინის გზები და სხვა სიმდიდრენი ჩაიგდეს ხელში ევროპა-ამერიკის იმპერიალისტებმა.

ვინ არის აღშფოთებული მსოფლიოს ყაჩაღების ასეთი საქციელით? მთავრობა? პარლამენტი?—არა. არამედ ჩინეთის მშრომელი ხალხი, სტუდენტობა, ვაჭრები და სხ.

ჩინეთის ყველა კლასების წარმომადგენლები აცხადებენ სასტიკ პროტესტს იმპერიალისტების ძალადობის წინაამდეგ. მთავრობა და პარლამენტი კი სდუმს.

ჩინეთიდან ისმის სასოწარკვეთილების ხმა ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი მიმართული დახმარების თხოვნით. ჩინეთის კომ. პარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მიმართავს ხალხს და მოუწოდებს მათ იმპერიალისტებისაკენ. ამ წინააღმდეგობას ეს ჭიროება ხელმძღვანელობა და ორგანიზაციული ხასიათის მიცემა: ამას კი შესძლებს არა გამყიდველი პარლამენტი, არამედ ნაციონალური კონგრესი, რომელსაც აირჩევს ჩინეთის ფართო მასსა.

ჯერ ჩინეთი შორსაა. სოციალისტურ რევოლიუციისაგან. ამის პირობები იქ არ არის. ამისაკენ არც მოუწოდებს ჩინეთის კომუნისტური პარტია ჩინეთის ხალხს.

მხოლოდ ახალი მთავრობა ნაციონალურ კონგრესის მიერ შედგენილი — ლაპარაკობს მოწოდება — შესძლებს ჩინეთის მილიტარიზმის განადგურებას და რევოლიუციონურ ნაციონალური ძალებით გზას გაუხსნის ჩინეთს ბედნიერ მომავლისაკენ.

ჩინეთის ხალხის ერთად-ერთი ხსნა დღევანდელ მათ ბატონების განდევნაშია.

ჩინეთის ხალხი იღვიძებს. ჩინეთის კედლები ირღვევა.

ს.

## რას წერენ გაზეთები

### „ჩვენი პური“

გაზეთ „პრავდა“-ში მეთაურ წერილში „ჩვენი პური“ ამხ. სერებრიაკოვი სწერს:

„ბურჟუაზიულ ქვეყანასთან ბრძოლის ფრონტზე ჩვენ ვმოქმედობთ პურით. თეთრგვარდიელები, გრძნობენ რა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის მნიშვნელობა, ათასგვარ სიცრუეს ავრცელებდენ ჩვენი მოსავლის შესახებ. მოსავლის ხარისხი მართლაც დაეცა, მაგრამ სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის მდგომარეობა იმდენათ დამაკმაყოფილებელია. რომ ჩვენი მთავარი ამოცანა იმდენათ პურის მიღება კი არ არის, რამდენათ შენარჩუნება მისი ტრანსპორტიროვკისა და შინაურ და გარეშე ბაზრებზე რეალიზაციისათვის.

ნათესების სივრცე წელს მეტია შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით, ჩვენ მივიღებთ დაახლოვებით 3 მილიარდ ფუთამდი პურს—ომამდი არსებულ დროის 3 | 4 მეტს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეალიზაცია მოგვცემს 280 მილ. ფუთს; ბაზარზე ხმარებაში იქნება 500 მილ. ფუთი პური. ქალაქებს, სამრეწველო რაიონებს და იმ სოფლებს, სადაც ნაკლებია პური, დასჭირდებათ 400 მილ. ფუთი—აქედან აშკარაა, რომ საზღვარგარეთ გასატანიც ბევრი დარჩება.

ჩვენი ფქვილიდან გამომცხვარი პური გააბათილებს ემიგრანტ თეთრგვარდიელების სიცრუეს. პურის ექსპორტი არის ახალგაზრდა, მაგრამ მტკიცე და პატიოსან საბჭოთა ხელში. ეხლა ჩვენ შევუდექით მორიგ ამოცანების შესრულებას: 1) ბრძოლა პურის დამამზადებელ ფასების გაიაფებისათვის, ხარჯების შემცირებისა და სახელმწიფო კოოპერატიულ აპარატების კონკურენციის გაუქმების საშუალებით, 2) ბრძოლა სუფთა ხორბალისათვის, 3) წისქვილების მუშაობის გაძლიერებისათვის და 4) ფქვილის და გამომცხვარ პურის კოოპერატიულ გაყიდვის ბაზის გაფართოვებისათვის. ამ ამოცანების შესრულებისათვის ჩვენ საკმაო ძალები მოგვეპოვება.

## დეპეშები

— **ირლანდიის პარლამენტის არჩევნებში რესპუბლიკანელებმა გაიმარჯვეს.**

— **იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში მთელ იმედებს ერთა ლიგაზე ამყარებენ.**

— **სამხრეთ სლავიაში დემონსტრაციებს აწყობენ ბულგარეთის თეთრი ტერორის წინაალმდეგ.**

— **მიწის ძვრის გამო იაპონიის ნაპირების მოხაზულობა შეიცვალა. ტოკიოს უბე გაჰქრა. გამოჩნდა ორი ახალი დიდი კუნძული. იოკაგამას ახლო გაჰქრა ორი დასახლებული კუნძული.**

— **უკანასკნელ ცნობებით ტოკიოს მდგომარეობა უმჯობესდება: წყალსადენი აღდგენილია.**

— **ინგლისის მრეწველები გაკვირვებულნი არიან ს. ს. რ. კ. მიღწეული ეკონომიური წარმატებებით და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები აღორძინების ხანაში იმყოფებიან.**

— **რუმინიის მთავრობა სახელმწიფოდან ასახლებს ბესარაბიის კომპარტიის ბელადებს.**

## იტალო-საბერძნეთის კონფლიქტი.

**იტალიის მემორანდუმი ს. ს რ კ**

იტალიის წარმომადგენლის მემორანდუმში, რომელიც გადაეცა ამხ. ჩიჩერინს, აღნიშნულია, რომ საბერძნეთის მიერ იტალიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარის

განცხადების შემდეგ იტალიის მთავრობა იძულებული იყო აეძულებია საბერძნეთის მთავრობა ეცნო თავისი პასუხისმგებლობა.

განკარგულება კუნძულ კორფუზე დესანტის გადასხმის შესახებ არ ნიშნავს ომის დაწყებას, ის მხოლოდ ნათელყოფს იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას დაიცვას თავისი პრესტიჟი და აგრეთვე სურვილს მიიღოს მოთხოვნილი დაკმაყოფილება.

**ორთავენი კარგნი არიან.**

საბერძნეთ-იტალიის პოლემიკა გრძელდება. იტალიის პრესა ცდილობს გაამართლოს კუნძულ კორფუს დაკავება საერთაშორისო უფლებით. საბერძნეთის პრესა ხაზს უსვამს საბერძნეთის უდანაშაულობას იტალიის მისიის მკვლელობის საქმეში და საბერძნეთის სწრაფვას, რომ მოხდეს ზავი და აგრეთვე მის ცდას, რომ დაიმსახუროს ერთა ლიგის ნდობა.

**მთელი იმედი ერთა ლიგაზე.**

იტალია საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ ინგლისის მთავრობის ოფიციალური ცნობების უქონლობის გამო, „დეილი ტელეგრაფ“—ი ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ კონფლიქტს მოაგვარებს ერთა ლიგა, როგორც ყველაზე უფრო შესაფერისი ინსტანცია. გაზეთი სწერს: „თუ იტალიას უნდა ზავი, მან უნდა იცნოს თავისი ვალდებულება ერთა ლიგის წინაშე და არ აიძულოს თავისი მეგობრები კრიტიკა გაუკეთონ მის მოქმედებას.“

ინგლისი თავს გრძნობს პასუხისმგებლად კორფუს ნეიტრალიტეტის დაცვაში, რომელიც აღიარებულ იქნა 1864 წ. ინგლისის პოზიციას იწონებს აგრეთვე „დეილი გერალდი“.

ტრედუნიონისტების კონგრესის თავმჯდომარემ ვილიამსმა განაცხადა, რომ მუსოლინის მოთხოვნილებებს შეუძლიათ მხოლოდ ომის გამოწვევა.

იტალიის პოლიტიკის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა მუშათა პარტიის ლიდერმა კლაინსმა, რომელმაც განაცხადა, რომ ერთა ლიგამ უნდა დაუყონებლივ ჩაერიოს კონფლიქტში. მხოლოდ „დეილი მეილი“ იცავს მუსოლინს, აღნიშნავს რა ინგლისის კაბინეტის საგარეო პოლიტიკის მერყეობას.

ოფიციალურ წრეებში ერთალიგას სთვლიან ერთად ერთ ავტორიტეტულ ორგანოთ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გადაჭრისათვის. „მორინ პოსტის“ გარდა მთელი პრესა ემხრობა მთავრობის თვალსაზრისს.

**ანტი იტალიური მანიფესტაციები.**

ათინიდან და სალონიკიდან მიღებული ცნობებით იქ გაუმართავთ ანტი-იტალიური მანიფესტაციები. საბერძნეთის მთავრობა იცავს იტალიის საელჩოს.

**სამხრეთ-სლავიის პოზიცია.**

ბელგრადის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ სამხრეთ-სლავია დაუცდის ერთა ლიგის გადაწყვეტილებას.

# მდგომარეობა ტოკიოში უმჯობესდება.

იაპონიის რადიო-სადგურის ცნობით მდგომარეობა ტოკიოში რამდენიმეთ გაუმჯობესდა. წყალსადენი ქალაქის ყველა კვარტალებში აღდგენილია. რამოდენიმე რაიონებში აღდგენილ იქნა განათება. მოდის სურსათ-სანოვაგე ჯერ მახლობელ პუნქტებიდან. იოკოგამაში მოვიდა 6 სამხედრო გემი ბრინჯით, ტანისამოსით და მედიკამენტებით დატვირთული. ბრიტანეთის ფლოტის სარდალმა ჩინეთის წყლებში მიიღო ბრძანება იყიდოს მედიკამენტები და პროდუქტები და დაჩქარებით მიაწოდოს იაპონიის მთავრობას.

**იოკოგამადან უკანასკნელი მცხოვრებნიც გარბიან.**

იოკოგამაში მთელი მცხოვრებლებიდან გადარჩა 40.000 კაცი, რომელთა უმრავლესობა გაიქცა ქალაქიდან, ჩინეთიდან დასახმარებლად მოსული გემებით.

**მიწისძვრა.**

**უბედურობამ მოლოდინს გადააჭარბა.**

იაპონიაში მომხდარი მიწისძვრა უფრო საშინელი აღმოჩნდა ვიდრე ამას ფიქრობდენ დღემდე. ორშაბათს მიწის ძვრა ისევ განმეორდა 11 ქალაქი სრულიად განადგურებულია. ქალაქ სოაკასა და კოხეს ჩრდილოეთით 21 ვერსის შემდეგ მთელი ქვეყანა განადგურებულია. კუნძული ეგიშიმა სრულიად დაიმალა წყალ ქვეშ. ტოკიო ისევ იწვის. 15 უბნიდან შვიდი სრულიად განადგურდა. ის, რაც ცეცხლსა და მიწისძვრას გადაურჩა ქარიშხალმა მოსპო. უბანი, რომელშიაც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები იყვენ განადგურებულია. მათი ბედის შესახებ არავინ არაფერი არ იცის.

**სატახტო ქალაქი—კიოტო.**

იაპონიის სატახტო ქალაქად დროებით გამოცხადებულია ძველი სატახტო ქალაქი კიოტო.

**ცეცხლში დაღუპულნი.**

ტოკიოში დაიწვა 10.000 კაცამდე, რომელთაც ვერ შესძლეს ცეცხლმოკიდებული შენობებიდან გამოსვლა.

**იოკაგამას გადარჩენილი მცხოვრებნი**

იოკაგამას მთელ მცხოვრებლებიდან გადარჩა მხოლოდ 40.000 კაცამდე. უმეტესობა ამათგანი გადარჩენ გემებზე, რომლებიც დასახმარებლად გაგზავნილი იყო ჩინეთიდან.

**ლტოლვილთა შორის აჯანყება.**

ლონდონში ტოკიოდან მივიდა შემდეგი ცნობა: ტოკიოსა და იოკოგამაში აჯანყება მოხდა ლტოლვილთა შორის, რომელნიც შიმშილობენ. შემდეგი ცნობებით აჯანყებებსა და, ძარცვა-გლეჯას ძალით აქრობენ.

# გერმანიის ამბები.

გერმანიაში რეაქცია ძლიერდება. დიდი კოალიცია შიგნიდან იშლება. ბურჟუაზიული მინისტრები აშკარათ ილაშქრებენ გილფერდინგის ფინანსიური ზომების წინააღმდეგ.

სტინესი და საფრანგეთის მრეწველები მოლაპარაკებას აწარმოებენ შეთანხმების შესახებ.

**ექსპლოატატორები.**

გაცხარებით ლაპარაკობენ შეთანხმების შესახებ სტინესს და შნეიდერ-კრეზოს სამრეწველო ჯგუფს შორის, კრუპპსა და ლუშერს შორის გრძელდება მოლაპარაკება ესენის და რეიხკაუზენის კრუპის ქარხნები და აგრეთვე ზაინის და ზიგის განაპირა მდებარე 37 მაღაროს შესახებ.

ამ ქარხნების და მაღაროების ექსპლოატაციისათვის განზრახულია შერეულ საზოგადოების დაარსება, რომელშიაც აქციების 40 პროცენტს მიიღებს კრუპპი, 35—ინგლისელები და 25 ფრანგები.

**კონფლიქტი საქსონიისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შორის.**

ბერლინი. 3 სექტემბერი. საქსონიისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შორის, თავდაცვის მინისტრ ჰესლერის მოქმედებით გამოწვეული კონფლიქტი მწვავდება. საქსონიის მთავრობის თავმჯდომარის ცეიგნერის მოთხოვნილება, რათა გადაყენებულ იქნეს ჰესლერი, რომელმაც მემარჯვენე რადიკალებთან და ფაშისტურ ორგანიზაციებთან თავისი ურთიერთობით სახელი გაიტეხა, სრულიად გერმანიის მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა. საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა და პარტიის საოლქო პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ცეიგნერის პოზიციას და მოითხოვს ჰესლერის გადაყენებას

**ორი გზა.**

**გერმანიის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მოწოდება.**

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტ. მოწოდებით მიმართა მუშებს, მოხელეებს და სახურეებს, რომელშიც [illegible] რომ ახალი კაბინეტი უძლ[illegible] ვილი ბურჟუაზიის საბოტაჟ[illegible] ოლაში და აგრეთვე კოა[illegible] მთავრობა მზათაა აშკარა კ[illegible] იჭიროს ფაშისტებთან. გერმა[illegible] შე ორი გზაა—ფაშისტური დ[illegible] რა ან რევოლიუციონური მ[illegible], რომელიც მომხრეა საბჭოთა[illegible] თან კავშირისა.

# სხვა და სხვა ამბები.

**ირლანდია.**

**რესპუბლიკებმა გაიმარჯვეს.**

ირლანდიის პარლამენტის არჩევნებში რესპუბლიკანელებმა მიიღეს 44 ხმ., 153 ხმ.-დან. რესპუბლიკანლები თხოულობენ დე-ვალერას დაუყონებლივ განთავისუფლებას.

**შვეცია.**

**ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.**

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს შვეციაში გაიმართა ორი მიტინგი გა[illegible] ცის ქვეშ.

**სამხრეთ-სლავია.**

**საპროტესტო დემონსტრაცია ბულგარეთის ტერორის წინააღმდეგ.**

8 და 9 სექტემბერს სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ მუშათა პარტია აწყობს სამხრეთ-სლავიის ყველა პროვინციებში საპროტესტო დემონსტრაციებს ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

# პასუხი ამხ. გობრონიძეს. *)

ჩემს წერილში „მიზეზი ახალ ორგანიზაციის შემოღებისა“ ვსთხოვდი ამხანაგებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხზედ. ამაზედ გამოეხმაურა ამხ. გობრონიძე.

ამხ. გობრონიძე მისაყვედურებს: „საჭირო იყო მეტი ყურადღება ახალი ორგანიზაციისადმი, მისი ახსნა განმარტება, მისი თვისებების შესწავლა და შემდეგში მისი მიზეზების გამორკვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წერილი ცალმხრივია“-ო.

მე ჩემს წერილს ვსწერდი სპეციალურ ორგანოში დარწმუნებული, რომ მისმა მკითხველებმა იციან „რაში გამოიხატება ეს ახალი ორგანიზაცია,“ რაც შეეხება იმას, რომ ჯერ უნდა თვისებები გამომეკვლია და შემდეგ კი მიზეზები ახალ ორგანიზაციისა, მე ვერასგზით ვერ დავეთანხმებოდი ამხ. გობრონიძეს. ჩემთვის ეს დებულება ურყევია: ჯერ მიზეზები უნდა გამოირკვეს მოვლენისა და აქედან მისი თვისებების შესწავლაც გაგვიადვილდება, შეიძლება ამაზედ ვიკამათოთ, მაგრამ ჩემთვის ეს დებულება იმდენად ცხადია, რომ ზედმეტად ვსთვლი კამათს. ცალმხრივობას რომ მისაყვედურებს, მხოლოდ ერთი შემიძლიან ვუპასუხო ამხანაგ გობრონიძეს: როდესაც კაცი აცხადებს მე დღეს ახალ ორგანიზაციის შემოღების მიზეზებზედ უნდა ვილაპარაკოო, ახირებულია, მეტი რომ არა ვსთქვა, მოვსთხოვოთ, რომ მან ამ ორგანიზაციის თვისებებზედ ილაპარაკოს.

„ავტორს ახალი ორგანიზაციის მთავარ მიზეზად მიაჩნია დღევანდელი ჯარის ორ ნაწილად დაყოფა იარაღის მიხედვით. მე ამაში ავტორს სრულიად არ ვეთანხმები“-ო განაგრძნობს კამათს ამხ. გობრონიძე.

მეც არ ვეთანხმები, ამხ. მოსე იმას, ვინც მაგისთანა აზრი გამოსთქვა, მე კი „წითელი არმიელი“-ა მოწმე, რომ მიზეზად ჯარის ორ ნაწილად დაყოფა არ მიმაჩნია. მე სიტყვა სიტყვით ვსწერდი შემდეგს: „ახალ ორგანიზაციის შემოღებას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ ამათში უმთავრესად უნდა ჩაითვალოს **ქვეითა ჯარის იარაღის განვითარება**“ მე ვსწერდი, რომ ქვ. ჯარი ძველად იყო **ორ-ძალად** მეთქი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვის ცხადია ჩემი წერილიდან, რომ ორ-ძალად და ორ ნაწილად დაყოფვა მე მიმაჩნია **მიზეზად კი არა** ახალი ორგანიზაციისა, **არამედ შედეგად** სასროლ იარაღის განვითარებისა. მე ვგონებ ამათში კი დიდი განსხვავებაა.

შემდეგში ამხ. გობრონიძე საყვედურით მეკითხება, როგორ ესმის ავტორს დაყოფვა, მხედველობაში ქვ. ჯარი ჰყავს თუ საზოგადოთ ჯარიო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „თუ კაცს არ უნდა რიყეზედაც კი ქვას არ დაინახავს“-ო. მე ჩემს წერილში მხოლოდ და მხოლოდ ქვეითა ჯარზედ ვლაპარაკობდი ეს ყველასათვის ცხადია, ვინც ჩემი წერილი წაიკითხა. მაგალითების მოყვანას არ გამოუდგები, რადგანაც იგი მრავალია. ვისაც ეჭვი ებადება ჩემს სიტყვებში ვსთხოვ გადიკითხოს ორივე ჩემი წერილი ახალ ორგანიზაციაზედ.

შემდეგში ამხ. გობრონიძე მისვამს სამ კითხვას, თუ ქვეითა ჯარი ორ ძალად იყოფა: 1), „რომელს უნდა მივაკუთნოდ ის წითელ არმიელი, რომელიც საკავშირო გუნდში მსახურობს და მისი დანიშნულება არც კვეთებაა და არც სროლა“ 2) „რომელ ნაწილს ეკუთვნის გზებზედ მომუშავე წითელ არმიელი“ და 3) რომელ ნაწილს ეკუთვნის ის წითელ არმიელი, რომელიც სამხაზიანი შაშხანა თოფით არის შეიარაღებული“. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რა უნდა გამოარკვიოს ამ კითხვებით ამხ. გობრონიძემ, მაინც, რომ ამისთანა კითხვები არ განმეორდეს უპასუხებ.

1. ის წითელ არმიელი, რომელიც საკავშირო გუნდში მსახურობს ეკუთნის ტეხნიკურ ჯარს, თუ გინდ ქვეითა ლეგიონშიც იყოს ჩარიცხული, ეს მტკიცედ უნდა იცოდეს ამხ. გობრონიძემ. ამ ჟამად არტილერიაც დაუმატეს ქვ. ლეგიონებს, მაგრამ ამით არტილერია ქვ. ჯარად არ გადაქცეულა.

2. მე ვგონებ მეორე კითხვას რომ სწერდა ამხ. გობრონიძე ხუმრობის გუნებაზედ იყო. იმავ უფლებით მეც შემიძლიან ვიკითხო, რომელ ნაწილს ეკუთვნის წითელ არმიელი, რომელიც სცენაზედ მუშაობს რასაკვირველია ხუმრობა კარგი საქმეა ხანდისხან, მაგრამ ხანდისხან....მეტია.

3. თუმცა ამ კითხვაზე წინა წერილებში პასუხი გაცემულია, მაინც დავაკმაყოფილებ ამხ. გობრონიძის სურვილს: შაშხანა თოფით შეიარაღებული წითელ არმიელი ეკუთვნის **უმთავრესად მკვეთრ ძალას**, თუმცა სასროლი იარაღიც აქვს.

შემდეგ ამხანაგი გობრონიძე მეკამათება: „მე კი ვამბობ რომ პირიქით დღევანდელი სამხედრო ხელოვნება ჯარის დანაწილებისაკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ მის გაერთიანებისაკენ“. წარმოიდგინეთ ამხ. მოსე, მეც მაგას ვამბობ და თქვენ, რომ ჩემი წერილი გულდასმით წაგეკითხათ იქიდგან ამოიკითხავდით შემდეგს: „რასაკვირველია ქვ. ჯარის ორ ნაწილად დაყოფვა მეტად ასუსტებდა მას და **ძველადვე სცდილობდენ ქვ. ჯარის ერთნაირად შეიარაღებას**“ აქედან ცხადია, რომ სამხედრო ხელოვნების მისწრაფება გაერთიანებისაკენ მეც ვაღიარე. ჩემი წერილის სხვა ადგილებისაგანაც ცხადია ეს აზრი, მაგრამ შორს წავალთ.

ამხ. გობრონიძე აბოლავებს თავის წერილს ახალ ორგანიზაციის მიზეზების გამოკვლევით და დასძენს: „მიზეზი არის სამხედრო ტეხნიკის განვითარება და მისი შედეგი ცეცხლი“ (ორთოგრაფია ამხ. გობრონიძესია). არ ვიცი რა დავაშავე, როდესაც ვსთქვი, რომ ახალი ორგანიზაციის შემოღების მიზეზი ქვ. ჯარის იარაღის განვითარებაა არ[illegible] თქი. როგორ ესმის ამხ. გობრო[illegible] „სამხედრო ტეხნიკა და მისი [illegible] გი?!“ ვგონებ ყველასათვის ც[illegible] რომ როდესაც ქვ. ჯარის სამხ[illegible] ტეხნიკაზედ და მის ცეცხლზედ [illegible] პარაკობთ, მხედველობაში უმთ[illegible] სი იარაღი გვაქვს. [illegible] ჰხედავთ, ამხ. გობრონიძემ ის[illegible] აზრი გამოსთქვა, რაც მე, მხ[illegible] უფრო ბუნდოვანი, მერყევ[illegible] ყვებით გამოსთქვა თავისი აზრ[illegible]

შემდეგისათვის ყველა ამხ[illegible] ვსთხოვ უფრო გულდასმით [illegible] ხონ დაწერილი და მსჯელ[illegible] ნიონ შინაარსის მიხედვით.

**ლ. გარსია[illegible]**

---

*) წერილი სადისკუსიოა. რედ.

ჩვენს წითელ ჯარს

## წითელი კლუბი.

ოთხშაბათს 5 ენკენისთვეს ცენტრალური კლუბი წითელ არმიელებისა ჩვეულებრივ სავსე მოსეირნეებით; სურნელოვან წალკოტს მუსიკა ანეტარებს...

კინოში სურათები მიდის და ისმის ჟრიამული ბავშვებისა, ტაში და...

მთელი ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ დღესა ჰგრძნობ, რომ მართლაც წითელ არმიელთა კლუბში ხა

საზაფხულოდ გასული ნაწილები ვე დაბრუნდენ თბილისში და ეს უბსაც დაეტყო დღის; მთელი უბი და ბაღი სავსეა მზით დამწ- სახე შეზანგებულ მოლაშქრეე- , რომელთაც რევოლიუციონურ რის შეგნებით უჭირავთ თავი და უფ-ჯგუფად დგანან, სეირნობენ, რიბენ. ყველას ეტყობა, რომ ანაკოდ გასვლის მათთვის ტყუი- დ არ ჩაუვლია, ყველა ცოცხლად იიყურება და თვალები უცინით, ლას ეტყობა კმაყოფილება, ყვე- ჰგრძნობს, რომ თავის სახლშია ითელ კლუბში.

ყურებ ამ ვაჟკაცების სახეებს და ბ: „განა დაიღუპება ის წითელი ობლო, რომლის სადარაჯოებ- ეს რკინისფერი გმირები იცა- !“

ირსეულ მუშურ-გლეხურ ხელი- ლების ღირსეული შვილები !

ატრში ზარი ირეკება და ჩვენი რები მიეშურებიან დარბაზში. ლი ადარაა. უპასუხო არ რჩება ვინმე წაიბორძიკებს. საკლუბო ის გამგე ამ. მამულაშვილი ებს და იწვევს არმიელებში მეტ ვილს საპასუხოდ.., ურიგდებათ კრები... სურათი ზეამტაცია. აშკრენი ერთმანეთს ეჯიბრებიან დნაში, გული სიამით გევსება. ე აღარა სჩანს მათში გაუბედა- ა და ყველას ისე, როგორც თა- ოჯახში, თავისუფლად უჭირავს ვი; ეტყობა პოლიტიკურ აღზრდას ენს ჯარში ტყუილად არ ჩაუვლია.

დასასრულ იწყება წარმოდგენა— ხრეი „სულის მამა“ ე. ხუციშვილმა ევრი აცინა დამსწრენი. რჩება. ყვე ლა ნაწილი ცალკე მწკრივდება, გაი- თვლიან რიგზე და მუსიკა მარშს უკრავს. ლამაზი მწკრივები სტოვებენ კლუბს. ყველანი ნეტარებით აყოლებენ თვალს...

საბახლის ქუჩაზე ერთხელ კიდევ ადახედავენ უფროსები თავის რი- ებს და მიდიან—ბინისაკენ. ღამის ყნარ წიაღში დიდხანს გაისმის მა- ი სიცოცხლიანი სიმღერა: „რაშო- ერრა, რაშო-რე-რრა, რაშორე-რა ა...

**ინას.**

## აარტილერიო პარკის ცხოვრებიდან.

1923 წელსა 3 ენკენისთვეს შეს- გ საარტ. პარკის პირად შემად- ენლობის კრება. კრება მეცადი- ეობითი ხასიათის იყო და ამასთა- ავე ირჩეოდა სხვა და სხვა საკით- ბიც.

საყურადღებო იყო მეტად სამხე- რო კომისარის მოხსენება, რომე- იც შეეხებოდა [illegible] კავკასიის მიის 5 წ. დღესასწაულის დღეს. ამხ. ქანიშვილმა ნათელ ჰყო ხსე- ბულ ჯარები, მნიშვნელობა და უთითა იმ წითელი დროშის მნიშ- ელობაზე, რომელიც გადასცა თბ. ეკის. მდივანმა, თბილისის გარნი- ნის უფროსმა. მართალი უნდა ით- ვს, რომ მოხსენებამ უდიდესი შთა- ჭდილება გამოიწვია მსმენელებში. წითელი არმიელი ბერუკაშვილი- ან შემოტანილ იქნა ასეთი წინადადება: „ვინაიდან ჩვენ წითელ არმიელებს შეგნებული გვაქვს იმ დროშის მნიშვნელობა, რომელიც მიიღო ჩვენმა ქარ. დივ. სამხკომმა და გარნიზ. უფროსმა ამხ. თ. ჟღენტმა თავის პასუხის მგებლობის ქვეშ. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გავამართლოთ დივიზიის სამკომის იმედები და იმ საერთო ფიცის გარდა, რომელიც მივიღეთ 14 აგვისტოს, ამ ჩვენ ნაწილში უფრშემადგენლობასთან ერთად, დღეს კიდევ ვფიცავთ რომ იმ წითელ დროშას, რომელიც შეღებილია მშრომელი ხალხის სისხლით და რომელიც გვაბარია დღეს ჩვენ არ დავხრით ძირს მანამ, სანამ არ მივაღწევთ სრულ გამარჯვებას.“ ეს წინადადება აღფრთოვანებით იქნა მიღებული კრების მიერ და დიდი ოვაციებიც გამოიწვია.

**სამხკ. ჩხ კვიშვილი.**

## სამაგალითო მუშაკი.

პირველ ქართულ ცხენოსან ლეგიონის სამხკომის თანაშემწე გრიქუროშვილი გვექცევა ძმურად. დილის შვიდ საათზე აქაა მუდამ, მიუხედავად იმისა, რომ მთაწმინდაში სცხოვრობს და საღამოთი დაგვიანებით მიდის სახლში. წითელ-არმიელებს გვესაუბრება ყველა თემებზე, გვიხსნის სკოლაში მეცადინეობის დროს ესწრება პირადათ, წარმოდგენების დროს აქაა მუდამ, ყველა ესკადრონებს თითონ ათვალიერებს, ყველგან შეაქვს თავისი წვლილი და საქმეს სიყვარულით ეკიდება. წითელ-არმიელებში მან დაიმსახურა სიყვარული.

ვაშა ასეთ მუშაკს.

**№.**

## გამოცდები ცალკე მესანგრე ასეულში.

ა. წ. 4 სექტემბერს ცალკე მესანგრე ასეულში დაიწყო გამოცდები პოლიტ და სან-საათის.

გამოცდებმა დაამტკიცა, რომ წითელ არმიელებმა ამ ცოტა ხნის განმავლობაში შეითვისეს ყოველივე ის აუცილებელი ცოდნა პოლიტიკურ დარგში, რასაც აუცილებლათ დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ წითელ-არმიელები გაერკვენ ყველა საკითხებში, რაც შეუძლებელი იყო ასე მოკლე ხნის განმავლობაში, მაგრამ ეს კი სინამდვილეა, რომ წითელ არმიელი დღეს იცნობს ვინ არის მისი მტერი ან მოყვარე; მას შეგნებით სწამს თავის მოპოებულ ხელისუფლებას უდგას დარაჯათ.

ასეთ პირობებში სადაც პირველათ 35 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგები იყვნენ, თავისთავად ცხადია ვერ მოხდებოდა პოლიტიკური უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, მაგრამ 80 პროც.-მა გამოცდები კარგათ ჩააბარეს.

**პოლიტ-ხელი.**

# რაზმიდან გვწერენ

## ჩვენი კლუბი.

ჩვენს საავიაციო ესკადრილიაში არსებობს კლუბი, რომელიც თავის დანიშნულებას შესაფერად ასრულებდა.

უნდა ითქვას რომ ამ კლუბში ყველა საღამოები ქართულად მიმდინარეობდა ამხ. ს. გეგიას ხელმძღვანელობით. მან დაარსა აგრეთვე სხვა და სხვა წრეები, რომლებიც ახლაც განაგრძობენ მუშაობას ესკადრილიაში. ეხლა ეს ამხანაგი გამოგვაკლდა და ყველაფერს ამას ვგრძნობთ რომ მოკლებული ვიქნებით. დიდათ სასიამოვნო იქნება, რომ ამ ამხანაგს ისევ დააბრუნებდენ ჩვენს ნაწილში პოლიტ-განყოფ. თუმცა დარჩა კლუბის გამგე მაგრამ მას ასეთები არ აინტერესებს და უფრო ხშირად დასეირნობს ცენტრალურ კლუბის ბაღში.

ორი თვე არის მას შემდეგ, რაც ოკკამ ჩააბარა მას პორტისათვის რკინის რგოლები და ის ისევ ოთახში უწყვია—ჟანგი სჭამს. შეიძლება უცდის წით. არმიელების დემობილიზაციას? გასაკვირველია, რომ ასეთი ამხანაგი კიდევ ადგილზე რჩება, ხოლო ისეთი ამხანაგი, რომელიც წითელ არმიელებში იყო გაზრდილი და მათთან შესისხლ-ხორცებული გამოგვაცალეს. ასეთი საქციელით ვერ ვართ კმაყოფილი. უმჯობესი იქნებოდა მიაქცევდენ ყურადღებას ვინ მუშაობს და ვინ არა, და არ ენდობოდენ იმას ვინც პირფერობს. საჭირო არის ადგილზე რჩებოდენ ისეთი ამხ. როგორც ამხ. ს. გეგია და არა ისეთები, რომელთაც საერთო საქმე და წითელ არმიელების გათვითცნობიერება სრულიად არ აინტერესებთ.

**მედგარი დარაჯი.**



### ქართ. დივიზიის ხორცის მოიჯარადრე

ეს კარგი ხორცი ბაზარში—
თავ ფეხი კი ქართულ ჯარში!
სადაც კამეჩი მოკვდება
(ან ტრამვაის ქვეშ მოხვდება)

არსად გაიტანოთ კარში—
ჰაიდა, იქით!—ქართულ ჯარში!
კამეჩ-თავა ხარს ვაძლევ ჯარს!—
(რა ვუყო თუ მუდამა ყარს?!)

## სამხედრო ხელოვნების ისტორია.

(გაგრძელება)

წინა წერილში რბენის შესახებ გვქონდა ლაპარაკი და ვნახეთ, რომ ჯარის შეკრებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ მალე მსრბოლთა პროფესიას ჰქონდა. რომ ასეთი პროფესია არსებობდა, და რომ მალე მსრბოლნი სპეციალურად იწრთვნებოდნენ სირბილში, ამას ამტკიცებს ერთი პატარა ისტორიული ფაქტი აღწერილი პატ. ც. პროფ. ჯავახიშვილის მიერ თავის სამართლის ისტორიაში: „ბასილი ზარზმელს—სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აქვს მოთხრობილი: (38 3—6) ერთი კაცი, რომელიც ძირღუას სოფლიდან იყო და „მსრბოლად გზათა შორთა“ (მალე მსრბოლად) ითვლებოდა, ბატონის უჩუმრად ბერად შემდგარა, ხოლო, როდესაც ბერის ტანისამოსში თავის სოფელს ეწვია, იქ მისი კვლავ გაერისკაცება მოინდომეს. ბერად შემდგარი თავის სოფლიდან გაიქცა, რადგან ბატონის ბრძანებით მას „დევნა უყვეს“ (მდევარი ჩუბინაშვილის ლექსიკონში ცხენოსანად არის ახსნილი, ხალხსაც მდევარნი ცხენოსნებად ჰყავს წარმოდგენილი).

ალბად ბატონის მდევრებიც ცხენოსნები იქნებოდნენ, მაგრამ გაქცეული ანაფორიანი მაინც ვერ შეიპყრეს, მანც მოასწრო მისვლა მონასტერში და „მდევარნიცა იგი უკანა მისსა“. (იქვე 38 10—16) აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს კაცი ხელობით „მსრბოლი გზათა შორთა“ იყო და ასეთი მალე მსრბოლნი ყველანი, რასაკვირველია ვერ იქნებოდნენ. მრავალს მათგანს ვახუშტიც მოსწრებია. თავის გეოგრაფიაში სწერს (გვ. 36): „რამე თუ ვყონი (ზოგიერთნი) 33 ეჯს თოთხმეტ ჟამს *) გაირბენსო“. ეჯი მისივე ახსნით „არს ექვსი ვერსი რუსული“, ე. ი. მისი თქმით ზოგი მალე მსრბოლი 198 ვერსს 14 საათში გაირბენს ხოლმეო. თანამედროვე ზედწევი მარათონის შეჯიბრების დროს 46 კილომეტრს უდრის 2 ნახ. საათში დაახლოვებით. ვახუშტის ნათქვამი ზღაპრულად მოგვეჩვენებოდა რომ არ გავიხსენოთ დღევანდელი იაპონელი მზიდავები. ექიმი ხეიმი, თავის მოგზაურობის შესახებ იაპონიაში სწერს, რომ ერთმა მზიდავმა, რომლის ეტლშიაც ექიმი იჯდა, შეუსვენებლივ გაირბინა ტოკიო იოკაგამის გზა იმ დროს, როდესაც ჩემთან ერთ დროულად ტოკიოდან ცხენებიან ეტლით გამოსულ მგზავრს გზაში ცხენები ორჯერ გამოუცვლელსო. სისწრაფითაც ცხენებს არამც თუ ჩამორჩა, მათი გამოცვლის დროს წინ წაუსწრო და ქალაქში მათზე ადრე ჩავედითო.

ასეთი მსრბოლები თუ კი ახლა გვხვდებიან, მგონია რომ დიდი გადაჭარბებული არ იქნებოდა ვახუშტის ნათქვამი, მით უფრო, რომ ისეთ საჭირო საქმისათვის იწაფებოდნენ ისინი, როგორიც მობილიზაციის საქმეა.

კერძოდ მალე მსრბოლთა ფეხებისა, და საერთოდ მთელი სამობილიზაციო აპარატის გასასინჯავად ხშირად იმართებოდა ხოლმე ეგრეთ წოდებული „სპათა განახვა“, რაც დღევანდელ პარადს—აღლუმს ერქვა. „განახვნა სპანი მისნი და მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“. სწერს თამარ მეფის მეისტორიე სპარსეთში გამგზავრების წინ ტფილისში გამართულ აღლუმის შესახებ.

ჩვენი წითელი ჯარი კი [illegible] ამ დარგს, რბენას—მეტად გაურბის. უკანასკნელ ოლიმპიადაზე თითქმის ყველა ნაწილებმა აჯობეს ქართველებს რბენაში, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს უკანასკნელნი სრულიად აღარ ვარჯიშობენ და თუ ძველებს „კანჯართა და ქურციკთა ქვეითი პყრობა“ შეეძლოთ, ამათ ასი მეტრის 12 წუთში (სეკუნდზე) ადრე გარბენა უჭირთ. ეს შედარებით კარგი სირბილია, მაგრამ დასანანი ის არის, რომ პირველ ცდისთანავე ასე სწრაფად დარბიან და რამოდენიმე თვის გასვლის შემდგომაც ასევე, რადგან ქართველური სიზარმაცე არ აძლევს ნებას ყოველდღიური ვარჯიშობისას.

ბათომში, მეორე ლეგიონის შეჯიბრის დროს საშუალება მქონდა ჩემის თვალით მენახა ერთი მეგრელი წითელ არმიელი, რომელმაც მოუმზადებლივ ორი წუთზომის (სეკუნდომერი) ჩვენებით 11 წუთში გაირბინა 100 მეტრი. ეს ისეთი გამონაკლისია, რომ სხვა ერის შვილს სურვილს აღუძრავდა გაუმჯობესებისას, და ეს მეგრელი ახალგაზრდა, ბუნებრივი მალე მსრბოლი, მეორეჯერ რომ დაგვეპირდა, ვეღარ ვიპოვნეთ, ისე ეზარებოდა სირბილი.

თვით ნებიერიძეც. რომელმაც ათჯიდში ოლიმპიადაზე სირბილში 100 მეტრზე პირველი ჯილდო მიიღო, სრულებით გაუვარჯიშებელი ბუნებრივი მორბენალია. ამ გარემოებას ჯარის მმართველობამ ყურადღება უნდა მიაქციოს და შესაფერ ინსტრუქტორების დანიშვნით სპორტი იმ სიმაღლეზე ასწიოს, რომ ჯარი ვერ სძლებდეს უვარჯიშოდ, ეს მას ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა გადაექცეს.

ასეთი ოლიმპიადები ჩვენი ძველი ჯარისათვის უცხო ხილი არ იყო და ახლა რად არ ჩარჩა ჩვენს სისხლში ამისადმი სიყვარული.

ქართველი ჯარი ლაშქრობის დროსაც კი თავის საქმის მოთავების შემდგომ [illegible] ბანაკში, ხელს მიჰყოფდა „სიხარულსა და აპარეზობას ისეთ, რომელიც არვისგან ნახულიყო და გაგონილიყო (ქართლის ცხ. გვ. 436 ჰიჭ. გამოც.)—ეს იყო ომის დროს, ხოლო როდესაც „იყო ყველგან მშვიდობა და წარმატე, მაშინ „სპანი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა“. (ქართ. ცხ. გვ. 485).

**გ. მერკვილაძე.**

---

*) ჟამი—საბა, ახსნით, საათ სუდ-ის.

# ახალი ამბები

5 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდენ რ. კ. პ. ცეკას და კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. ნ. ბუხარინი; რესპუბლიკის პროკურორი ამხ. კრილენკო; მიწათ მოქმედების სახ. კომისარი ამხ. სმირნოვი და ბრანდენბურგსკი.

### დასავლეთ საქ. საოლქო სასამართლოში.

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრებად დაინიშნენ: ამხ. ს. ჭავჭავაძე, ვ. გოგიური, ი. ხარბაძე, მ. შარაშიძე, ნ. ხარაძე, დ. დგებუაძე, ი. მასხულია, ა. ნაკაიძე, [illegible]. დოხნაძე, შ. ლომთათიძე, როდანაი, ა. ფალიანი, თ. ხოცვაძე და ა. იაშვილი.

### იუსტიციის კომისარიატის შტატი.

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სპარსეთში მცხოვრებ ქართველების წარმომადგენელის ს. იოსელიანის ფეჯეიდანში დასაბრუნებლად გასაწევი ხარჯები მიიღოს თავისთავზე.

### ქარხნის ჩამორთმევა.

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობა მოქ. პ. ჩხენკელის ხელოვნურ წყლების ქარხნის და საწყობის სახელმწიფო კუთვნილებათ გადარიცხვის შესახებ.

### სენაკის მაზრის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა.

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო სენაკის მაზრის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა და გადაეცა ა. კ. ფინანსკომს განსახილველად.

### შრომის ბაზრის მოწესრიგება.

შრომის კომისარიატის დადგენილებით შრომის ბაზრის მოწესრიგების მიზნით განზრახულია საქ. პროფსაბჭოსთან ერთად გატარდეს მუშამოსამსახურეთა თავისუფალ დაქირავების, საწინააღმდეგო ბრძოლა.

### ცემენტის ქარხანა ს. კავთისხევში.

თანახმად თ. ღლონტის მოხსენების და აღმასკომში მის მიერ წარდგენილი პროექტისა, აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: სოფ. კავთისხევში ცემენტის ქარხნის პროექტი დაურიგდეს გასაცნობად პრეზიდიუმის ყველა წევრს და შემდეგ ეს საკითხი დაისვას განსახილველად გაფართოებულ პრეზიდიუმის სხდომაზე.

### სარდაფების დაცვა წყალდიდობისაგან.

ქ. აღმასკომის პრეზიდიუმის წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას გამოარკვიოს თუ რა წესით შეიძლება გაიწმინდოს წყალით სავსე სარდაფები და მისი დაცვა მომავალ წყალდიდობისაგან.

### ტფილისის მაზრის მდგომარეობის გამოსარკვევათ.

ტფ. მაზრის მდგომარეობის ყოველ მხრივ გამოსარკვევად ქ. აღმასკომის მიერ შედგენილ იქნა კომისია ჯანძრთელობის, კომუნალურ, მეურნეობის, კეთილ მოწყობის სექციის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლების მონაწილეობით.

# სამხედრო საქმე

### საზღვრის დაფარვა.

თანამედროვე პირობებში ომის წარმოება მოითხოვს ჯარის სწრაფ შეკრებას და მობილიზაციის მოკლე ვადაში გატარებას; ამის პირნათლად შესრულებისათვის საჭიროა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს ზედმიწევნით მომზადება, ამ მომზადებაში უნდა იღებდეს მონაწილეობას როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო ხელისუფლება. გავიხსენოთ წარსული იმპერიალისტური ომი, როდესაც გერმანიამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეასრულა მობილიზაცია და ბუმბერაზი მილიონიანი არმია საზღვრებზედ გადასტყორცნა. გერმანიის ღენერალურ შტაბის უფროსი განს კული თავის წიგნში „გერმანიის ღენერალურ შტაბში" სიამაყით აღნიშნავს ამ მოვლენას და მიაწერს იმ დაუღალავ შრომას, რომელსაც ასრულებდა ღენერალური შტაბი მშვიდობიან დროს. მისი სიტყვით გერმანიის ღენერალურ შტაბის ყოველ ოფიცერს მშვიდობიან დროს სამსახურის გარეშე პირადი ცხოვრება არ ჰქონიათ. იგინი დღე და ღამე მუშაობდენ, მათთვის არ არსებობდა არც უქმე, არც დასვენება და არც არავითარი გართობა. სისტემატიური შრომით სწარმოებდა მობილიზაციის გეგმის გატარების ცდები, ყოველ წლიურად სწარმოებდა საცდელი მობილიზაციები და დაუღალავი შრომის და გერმანულის პუნქტუალობის შედეგები ის იყო, რომ 1914 წელს გერმანიაში მობილიზაცია უწყვეტლოდ და უნაკლულოთ იქმნა შესრულებული ამ მოკლე ვადაში. მაშასადამე აქ საჭიროა სახელმწიფოს ამ აპარატების სათანადო სიმაღლეზედ დაყენება და საჭირო დრო, მისი ინტენსიური ამუშავება.

მოწინააღმდეგის ყოველ თავდასხმას შეუძლია დაარღვიოს მიზნშეწონილად წარმოებული მობილიზაცია და გააძნელოს სათადარიგო ჯარის და ცხენების შეკრება, რითაც შეაფერხებს ცალკე ნაწილების მომზადებას. უცხო სახელმწიფოთა თანამედროვე ცხენოსანი ჯარი გაწვრთნილია სხვა და სხვა შენობათა დასანგრევათ, რის გამო რკინის გზები და სატელეგრაფო ხაზები მუდამ ხიფათში იქნებიან ჩავარდნილი ყოველგვარ დანგრევით, ამიტომ ამის დასაფარავად განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო. ყველა იმ ზომებს, რაიცა მიმართულია მობილიზაციის კარგად ჩატარების უზრუნველყოფისათვის ჰქვია „საზღვრების დაფარვა". საზღვრების დაფარვის ოპერაციებათ უნდა ჩაითვალოს საზღვრებთან სხვა და სხვა სპეცების განაწილება, რაც გამოწვეული იქნება სამხედრო-პოლიტიკური გარემოებით. რადგან ამ გვარი ამოცანა ეკუთვნის იმის მეორე ხარისხოვან ამოცანას, ამიტომ მას, მხოლოდ განსაზღვრული საჭირო ძალა უნდა მოხმარდეს; ამ ძალების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს იმის და მიხედვით თუ რამდენი ჯარი ჰყავს მოწინააღმდეგეს გამოყვანილი საზღვართან და ან მტრის ჯარი რამდენადაა მომზადებული ბრძოლისათვის.

საზღვრის დამფარი ჯარის ყოველი დამარცხება გამოიწვევს საკუთარ არმიის სულიერ განწყობილების შეტორტმანებას და სიძლიერის შესუსტებას. ამას გარდა ამათ ექნებათ გავლენა საზღვართან მცხოვრებლების ფსიხიკაზედ და ნეიტრალური სახელმწიფოების პოლიტიკურ ხაზის მიმართულების გამორკვევაზედ.

გ. ბ.

# მეცნიერება და ტექნიკა

### ხელოვნური კარბოლის და „დუბილის" ნივთიერებანი.

ფენოლური (კარბოლის) და „დუბილის" ნივთიერებანი თანამედროვე ტეხნიკურ ცხოვრებაში თანდათან იხვეჭს დიდს მნიშვნელობას: კარბოლის ნივთიერება იხმარება ანილინურ საღებავს, საწამლო ნივთიერების, ასაფეთქებელ ნივთიერების, სადეზინფექციო საშუალებათა და სხ. მომზადების ტეხნიკაში; „დუბილის" ნივთიერებანი იხმარებიან უმთავრესად სატყავეულო მრეწველობაში, და აგრეთვე ნაწილობრივ მედიცინაში. ფენოლურ ნივთიერებათაგან უბრალო—კარბოლის სიმჟავეს—დღემდე პოულობდენ ქვანახშირის ფისისაგან, რომელიც წარმოადგენდა შემავსებელ პროდუქტს საგაზო საქმეში; სხვა ფენოლები, როგორც კრეზოლები, რომლისაგანაც იღებენ კრეოლინს, ლიზოლს, კეთდებოდა წიფლის ფისისაგან; პიროკატეხინი, რომლისაგანაც ამზადებენ გვაიაკოლს, დუეტოლს, თიოკოლს, ნერატოლა და სხვას ჰპოულობენ ამერიკულ „კატეხოვორ ფისსაგან და ა. შ.; „დუბილის" ნივთიერებას ამზადებდენ მუხის კანისაგან, ტირიფისაგან; ზემოხსენებული მცენარეები შეიცავენ ამ ნივთიერებას 6—8 პროცენტამდე,—ან და სხვა ტროპიკულ მცენარეებისაგან, როგორც მაგ. სუმახი, კვებრახო, ისამინი და სხვა, რომელიც შეიცავენ ამ ნივთიერებას 20—30 პროცენტამდე. ეს ნივთიერებანი მზადდება ხელოვნურად ფაბრიკებში განსაკუთრებით—ამერიკაში არომატულ ნახშირ-წყალბადისაგან.

ამათი მიღების ტეხნიკა ახალი არაა, ვინაიდან ის ფართედ წარმოებდა ომის დროს, როცა ფენოლური ნივთიერებანი, განსაკუთრებით კარბოლი დიდ საჭიროებას წარმოადგენდა პიკრანის სიმჟავის, მელინიტის, შიმოზეს და ლიდდიტის დამზადების საქმეში; არის ცნობები, რომ ამ მიზნისთვის ახალი ქარხნები შენდება.

ამის პარალელად ფართოვდება სინთეტიური, ე. ი. ხელოვნური, დამზადება „დუბილის" ნივთიერებათა, ბუნებრივ დუბილის ნივთიერება შეიცავს, უმთავრესად, ტანინს და სხვა მის მსგავს „ტანოიდურ ნივთიერებებს", რომლებიც შესდგებიან „დაყენებულ მთელ რიგ არომატიულ სხეულებთაგან.

მართალია საერთო კონიუქტურა „დუბილის" ორგანიულ ნივთიერებათათვის კეთილ სასურველია, როგორც ფენოლურ ნივთიერებათათვის, ვინაიდან ამათ ჰყავთ სერიოზული კონკურენტი მინერალურ ქრომიულ დუბილით სახით, მაგრამ დამახასიათებელი ისაა, რომ განსაზღვრულ მოხოვნილებათა გამო ტყავზე, რომლებიც მუშავდებიან „დუბილის" ნივთიერებათა შემადგენლობით, სინთეტიური მომზადება ამ უკანასკნელთა მაინც განაგრძობს განვითარებას.

ნაჩვენები სინთეზები,—როგორც ფენოლურ ნივთიერებათ ხელოვნური კარბოლით, აგრეთვე „დუბილის" ნივთიერებათა—წარმოადგენენ ახალ ტეხნიკის ერთ საუკეთესო მონაპოვართაგანს, რომლებიც გვაჩვენებენ თუ რა შორს შეიძლება წასვლა პრაქტიკაში მეცნიერულ გზათა და მეთოდების სათანადო გამოყენების გამო.

### რა ჯდება ტუბერკულოზი.

გადამდებ სნეულებათა შორის ყველაზე მეტი გადამდები თვისებისაა ტუბერკულოზი. [illegible] ანადგურებს მარტო ევროპაში წლიურად მილიონ კაცს ე. ი. 3.000 კაცს დღიურად ანუ ორი ადამიანის ცხოვრებას ყოველ წუთში. ყველაზე უფრო უსაშინელესმა ომმა 1914 წ. შეიწირა რუსეთისაგან 1 800.000 მსხვერპლი,—ხოლო ამ ხნისავე განმავლობაში ტუბერკულოზმა იმსხვერპლა 2.500.000 კაცის სიცოცხლე. კაცობრიობის მეშვიდედი ნაწილი იღუპება ტუბერკულოზით. ტუბერკულოზის მიერ გამოწვეული ეკონომიური დანაკლისი დიდია. ერთი ამერიკული სწავლულის გამოანგარიშებით 1922 წლ. განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ტუბერკულოზის გამო 521 მილიონი დოლარი ე. ი. მილიარდ მანეთზე მეტი. რომ ეს საშინელი ავადმყოფობა არ ყოფილიყო, თითოეული ამერიკის მოქალაქის სიცოცხლე გაგრძელებული იქნებოდა საშუალოდ ორი ნახ. წლით, და ქვეყნის სახალხო სიმდიდრე 27 [illegible]ნ დოლარით გაიზრდებოდა.

(„რაბ-ჩაია პრა

# ბრძანება

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილე

5 სექტემბერი 1923 წელი. ქ. თბილისი.

### ქართულ ლაშქრის ცენტრალურ კლუბის შესა[illegible]

1) ხუთმეტ სექტემბრიდან შესწყდეს გარეშე პირთა სი[illegible] ტრალურ კლუბში. არ გაიყიდოს შესასვლელი ბილე[illegible] მხედ[illegible] ადგი[illegible] წილების ლაგერებიდან დაბრუნების გამო.

2) უფასო ბილეთები ცენტრალურ კლუბში შესასვ[illegible] თუ [illegible] ზაცნოთ აგიტ-პროპ. ნაწილის განწესებით კვირაში სამჯე[illegible] სექც[illegible] შირებს, ბ) კომკავშირს, გ) ს. კ. პ. ტეკას და სხვა და [illegible] დაწესებულებებს.

3) კინოს გამგეს ვუბრძანებ მიიღოს ზომები, რათა წითელ არმ[illegible]ლთათვის ნაჩვენები იყოს რჩეული სამეცნიერო და რევოლიუციონ[illegible] სამხედრო შინაარსიანი სურათები.

4) ნებას ვრთავ კვირაში ორი დღე გამოყენებული იყოს კლუ[illegible] ფასიანი წარმოდგენების დადგმისათვის, კლუბის ზოგადი ხარჯებ ს[illegible] ფარვის მიზნით.

5) თხუთმეტ ამა თვიდან აეკრძალოს „პოსლედ-გოლს" ლ[illegible] თამაში.

6) 10 ამა თვიდან ცენტრალურ კლუბის ბუფეტში შესწყ[illegible] გარ სასმელების გაყიდვა.

7) ცენტრალურ კლუბის უფროსს ევალება პოლიტ-განყოფილ[illegible] საკლუბო-საბიბლიოთეკო სექციის უფროსთან გამოიმუშაოს რიგი ქა[illegible] თულ ნაწილების დასწრებისა ცენტრალურ კლუბში გამართულ საღამო[illegible] კონცერტებზე და კინო ლექციებზე.

8) სარედაქციო კოლეგიას ევალება ამხ. **ჩანტლაძის** სახით აწარმოოს ყოველ დღიური გამოკვრა ცენტრალურ კლუბში გაზეთ „წითელ არმიელის" ყოველი ახალი ნომრის.

9) დივიზიის სარდლის თანაშემწეს ამხ. **ართმელაძეს** ევალება მოკლე ხანში საფუძველი ჩაუყაროს და შემდეგშიაც უხელმძღვანელოს დივიზიის სამხედრო სამეცნიერო წრეს, რაშიაც მონაწილეობა მიიღებინოს ქართველ უფშემადგენლობას. წრე იარსებებს ცენტრალურ კლუბთან.

10) განმტკიცდეს ქ. ტფილისში არსებულ ნაწილების კლუბების და ბიბლიოთეკების მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ცენტრალურ კლუბთან.

11) საავიტპროპო ნაწილის საკლუბო-საბიბლიოთეკო სე[illegible] როსს ამხ. მამულაშვილს ვუბრძანებ, რათა საკლუბო მუშა[illegible] რალურ კლუბში მიმდინარეობდეს ცოცხალი ტემპით, რი[illegible] დგენილ იქმნას ქართული წრეები და სწარმოებდეს მასიურ[illegible] შემდეგი მიმართულებით და სახით:

ა) სექტემბრის და ოქტომბრის თვეების საკლუბო-საბ[illegible] პროგრამა ჩატარებული იქნას მეტის ნაყოფიერებით და ფა[illegible] ტაბით. ცენტრალურ კლუბში დაიდგას წარმოდგენ ბ. ნ. ჩ[illegible] კინო სურათები, შუქის გაზეთი, გაიმართოს საუბრები, ლექ[illegible] მოების გეგმის მიხედვით), კონცერტები, პოლიტ და ს[illegible] მებზე ლატარია-აუქციონი. მოეწყოს გამოფენა ქართულ [illegible] რაოებისა და სხვა.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და
პოლიტ-განის უფროსი თ. ჟღე

ტირაჟი 1200 სამხედრო სტამბა პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. ჩანტლაძ